„გამომცემლობა პალიტრა L"
საქართველო, თბილისი
იოსებიძის ქ. №49
"Palitra L Publishing" ltd
#49 Iosebidze st.
Tbilisi, Georgia

გამ/კ №341

03.05 2013 წელი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ამ მინდობილობის ძალით შპს **„გამომცემლობა პალიტრა L"**-ის (ს/კ:205236369) დირექტორი **თინათინ ასათიანი (პ/ნ: 60002018180)**, ვენდობი **გელა გელაშვილს** (დაბადებული 03.01.1872 წელს ფოთში; მცხ: ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მკ/რ-ნი, კორპ. I-ლი, ბ. 114; ა/ბ: №11IE031339; პირადი №13001005058; გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 29.06.2012 წელს), მასზედ რომ მან წარმოადგინოს შპს **„გამომცემლობა პალიტრა L"** ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში და სხვა ადმინისტრაციულო ორგანოებში. გელე გელაშვილს უფლება აქვს შპს **„გამომცემლობა პალიტრა L"** წარმოადგინოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნილ სააგენტოში და ქ. თბილისის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებში.

ამ მინდობილიბის ძალით გელა გელაშვილს უფლება აქვს მოახდინოს საჯარო რეესტრში შპს **„გამომცემლობა პალიტრა L"-ის** კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №12-ში რეგისტრაცია, ასევე აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ცვლილებების რეგისტრაცია, გააკეთოს ახალი აზომვითი ნახაზები და დაარეგისტრიროს ცვლილებები საჯარო რეესტრში, მოამზადოს ყველა სახის არქიტექტურული დოკუმენტაცია, რაც საჭიროა მშენებლობის განსახორციელებლად, ასევე საზოგადოების სახელით იმოქმედოს შეთანხმებული პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, საზოგადოების სახელით გადაიხადოს დაკისრებული მოსაკრებლები, ჯარიმები და გადასახადები, წარადგინოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში განცხადებები გადახდილი ჯარიმებისა და საზოგადოების კუთვნილი შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით. დაუკვეთოს და დაამზადებინოს ტოპოგრაფიული რუკები, ნახაზები, პროექტები. ასევე უფლება აქვს მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით არქიტექტურის სამსახურში ჩააბაროს პროექტები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს დამტკიცებული პროექტი, მშენებლობის ნებართვა, შეიტანოს განცხადება მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, აიღოს ახალი მშენებლობის ნებართვა, მიმართოს განცხადებით თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით და ა.შ.

გელა გელაშვილს უფლება აქვს შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც საჭიროა ზემოთხსენებული დავალების შესასრულებლად.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

შპს „გამომცემლობა პალიტრა L"

დირექტორი: /თ. ასათიანი/ თ. ასათიანი

შპს „გამომცემლობა პალიტრა L" * PALITRA L. PUBLISHING LTD * 205236369